

2015 წლის საგრანტო კონკურსი

N	ორგანიზაციის სახელწოდება	პროექტის სახელწოდება	მიზანი	თანხა
1	ააიპ „ასოციაცია „ქალი, ბავშვი და სოციუმი“	„SHOWDOWN-ი მაგიდის ტენისი უსინათლო და მცირემხედველი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისათვის“	პროექტი მიზნად ისახავს უსინათლო და მცირემხედველი ადამიანების ფიზიკური აქტიურობის გაზრდას, მათ რეაბილიტაციას და ჩართვას სპორტულ ცხოვრებაში; SHOWDOWN-ას დანერგვას, განვითარებასა და პოპულარიზაციას საქართველოში. პროექტის შექმნა განაპირობა უსინათლო და მცირემხედველი შშმ ახალგაზრდების სპორტულმა პასიურობამ. პრობლემა მათი ინდეფერენტულობაა, რაც უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობაზე. პროექტი უმეტესწილად ემსახურება ამ პრობლემის გადაჭრას და ამავდროულად სპორტის ახალი სახეობის დანერგვას და განვითარებას.	23277.5
2	ააიპ „პროგრესული საქართველო“	ანტინარკოტიკული კამპანია	ახალგაზრდობის ინფორმირება ნარკოტიკული საშუალებების მავნებლობის შესახებ, ასევე ახალგაზრდების თავისუფალი დროის სწორად ორგანიზების შესახებ. შესაბამისად, პროექტი ორიენტირებულია ახალგაზრდების დასვენებასა და გართობაზე მიმართული პროგრამების განხორციელებისკენ, რომლებშიც ინტეგრირებული იქნება ფიზიკური აქტივობა და საგანმანათლებლო ღონისძიებები;	21443
3	ააიპ „ყაზბეგის ახალგაზრდული ცენტრი“	მთამსვლელობის განვითარება ყაზბეგის რაიონში	ყაზბეგის რაიონში მთამსვლელობის განვითარების უდიდესი პოტენციალი არსებობს, რადგან ყაზბეგის რაიონში მდებარეობს კავკასიონის უმაღლესი მწვერვალები. მთამსვლელთა კლუბის შექმნა ხელს შეუწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას და ასევე ადგილობრივების დასაქმებას. მთამსვლელთა კლუბის შექმნის შემდეგ, მთაში სიარულისთვის, საჭირო ცოდნას და გამოცდილებას მიიღებენ ადგილობრივი ახალგაზრდები, კერძოდ ჩატარდება ყოველდღიური ვარჯიშები კლდეზე ცოცვაში, დამწყებთათვის მოხდება აღჭურვილობის გამოყენების და თოკზე საჭირო კვანძების სწავლება, ჩატარდება შეკრებები და ალპინიადები სხვადასხვა მწვერვალებზე. ადგილობრივი გიდების ძალიან მცირე რაოდენობის გამო ტურისტების ჯგუფებთან გამყოლებად მუშაობენ უცხოელი ან საქართველოს სხვა რეგიონიდან ჩამოსული გიდები. ყაზბეგის მთამსვლელთა კლუბის	9025

			შექმნა ხელს შეუწყობს ადგილობრივების კვალიფიკაციის ამაღლებას და მათ დასაქმებას სამთო გამყოლებად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ისეთ მაღალმთიანი რეგიონისთვის როგორც ყაზბეგის რაიონია.	
4	ააიპ „საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო“	საერთაშორისო კონკურსი „ალიანტე 2015“	კონკურს „ალიანტე 2015“-ის მიზანია ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლება უპირველეს ყოვლისა უსაფრთხოების საკითხების, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ, ასევე მონაწილეებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოავლინონ ცოდნა ისტორიაში, გეოგრაფიაში და საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებში. პროექტის მიზანს ასევე წარმოადგენს სკოლის მოსწავლეებში სხვადასხვა ლიტერატურიდან ინფორმაციის მოძიებისთვის, ინტერნეტრესურსის საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება, ანალიზისა და თავისუფალი აზროვნებისთვის საჭირო პრაქტიკული უნარაჩვენების გამომუშავება.	22250
5	ააიპ „გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპინისტური კლუბი“	ახალგაზრდული ბანაკი „ფშავი“	პროექტი მიზანად ისახავს, ბანაკის მოწყობას ფშავში, რეგიონის გაცნობას ახალგაზრდებისათვის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებას და მასობრივი ალპინიზმის ფართო გავრცელებას. პროექტის მიზნების განსახორციელებლად მოხდება სტაციონარული ბანაკის მოწყობა საქართველოს მთიან რეგიონში - ფშავში. პროექტის შესახებ ინფორმაცია განთავსდება როგორც ვებ სივრცეში, ისე სხვადასხვა სასწავლებლის საინფორმაციო დაფებზე. კლუბი უზრუნველყოფს მატერიალურ თანამონაწილეობას.	16721.5
6	ააიპ ”ჩვენი ჯანსაღი და სპორტული თაობა“	საფეხბურთო ფესტივალი-გურია 2015	პროექტის მიზანია ფეხბურთის პოპულარიზაცია, ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელების გამოვლენა და ახალგაზრდობის მასიური ჩართვა სპორტის აღნიშნულ სახეობაში. პროექტის ამოცანაა წინასწარი შერჩევით გურიის რეგიონის 3 მუნიციპალიტეტში საფეხბურთო კლუბებისა და მოყვარულ ფეხბურთელთათვის ინფორმაციის მიწოდება პროექტის შესახებ, მათი მოწვევა ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად; • ფესტივალის მიმდინარეობის პერიოდში ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მიერ მოეწყობა კულტურულ-გასართობი ღონისძიება	18895

7	ააიპ „პირველი ევროპელი“	„ტრადიცია_ეროვნული საგანძური სვანური ტრადიციული ჭიდაობა „ლიბრგელის“ აღდგენა_განვითარება“	პროექტი ითვალისწინებს სვანური ტრადიციული ჭიდაობის „ლიბრგელ“-ის აღდგენა და პოპულარიზაცია; პროექტის ფარგლებში ჩატარდება ტრადიციული ჭიდაობის „ლიბრგელ“-ის სამ დღიანი სპორტული ფესტივალი ქალაქ დმანისში, ხოლო შემდგომში მოხდება სპორტული ღონისძიების ფესტივალად დაარსება სახელწოდებით „მარკლანი“.	14450
8	ააიპ „სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდული ცენტრი „მომავალი“	ქალთა ინტეგრირებული ტურნირი თანადგომა-2015	პროექტის ზოგად მიზანს წარმოადგენს ქალთა, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თვითრეალიზაციისა და სრულფასოვანი ცხოვრებისათვის საჭირო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნისათვის ხელშეწყობა. კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს სპორტის პოპულარიზაცია და ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა. ქალთა (მათ შორის შშმ პირთა) სტიმულირება და აქტივობის ამაღლება. პროექტი ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თვითრეალიზაციას და სრულფასოვანი ცხოვრებისათვის საჭირო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას. პროექტის მიზნის მისაღწევად დაგეგმილია ქალთა ტურნირის ჩატარება სპორტის ოთხ სახეობაში, კერძოდ: ბილიარდი, ტყვიის სროლა პნევმატური იარაღიდან, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და ამ ტურნირში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე გოგონებისა და ქალების ჩართულობის უზრუნველყოფა.	21560
9	ააიპ „სტეფანწმიდა“	სპორტული თვე ყაზბეგის რაიონში	პროექტის ფარგლებში ყაზბეგში ჩატარდება სპორტული ტურნირები: ჭიდაობაში, კლდეზე ცოცვასა და ფეხბურთში, რაც გულისხმობს, საფეხბურთო მოედნის, ტატამის და საცოცი კლდის მომზადებას, ასევე მატერიალურ – ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვას.	4200
10	ააიპ „საქართველოს მენეჯერთა ასოციაცია“	„ახალგაზრდების ინტელექტუალური აზროვნება, განათლება და ევროინტეგრაცია“	პროექტის მიზანია ახალგაზრდებისთვის დემოკრატიული ღირებულებების გაცნობა და ახალგაზრდებში პოპულარიზაცია, ახალგაზრდა თაობის საქმიანი აქტივობების ხელშეწყობა, განათლებისა და მეცნიერების პოპულარიზაცია. ახალგაზრდა ლიდერების, განათლებული საქმიანი ადამიანებისა და მენეჯერული უნარ-ჩვევების მქონე ახალგაზრდების გამორჩევა, რომლებიც ქვეყნის კეთილდღეობაში პოზიტიურ წვლილს შეიტანენ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე პროექტის	16122.5

			მიზანია ჯანსაღი ღირებულებებისა და მსოფლმხედველობის მომავალი თაობის აღზრდა.	
11	აიიპ „NOOSFERA FOUNDATION“	CineDoc-Tbilisi-ის საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალის სექცია CineDoc-Young	CineDOC-Tbilisi- ის სექცია CineDOC –Young ეს არის თავისუფალი, ინტერაქტიული კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცე, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ გამოავლინონ შემოქმედებითი უნარები, შეიძინონ მეგობრები, ჩაერთონ დისკუსიაში, გაიციონ და გაესაუბრონ უცხოელ რეჟისორებს. პროექტს განახორციელებს CineDoc-Tbilisi-ის კინოფესტივალის ჯგუფი. დასაწყისში გაიხსნება დედლაინი და ინფორმაცია გამოცხადდება კინოფესტივალის ვებ-გვერდზე. ფილმის ავტორები გამოაგზავნიან თავიანთ ნამუშევრებს. შეიქმნება პირველადი გადარჩევის ჟიური, შეირჩევა ფილმები. დაიწყება პროგრამაზე მუშაობა, როგორც შინაარსობრივ, ისე ვიზუალურ ნაწილზე. მომზადდება და დაიგეგმება პრეზენტაციები კერძო, საჯარო, უცხოეთიდან სკოლებში და დღის სახლებში, ასევე სახელოვნებო ცენტრებში.	22427
12	აიიპ „არასამეწარმეო იურიდიული პირი კავკასიონი“	„წიგნის ხე“	პროექტის ფარგლებში დაგეგმილია გარემოს დაცვის თემატიკის ლიტერატურული კონკურსების ორგანიზება; საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ლიტერატურული საღამოებისა და გარემოს დაცვის საკითხების ირგვლივ დისკუსიების ორგანიზება.	14550
13	ა(ა)იპ „ახალგაზრდული ინიციატივებისა და სამოქალაქო განვითარების აკადემიური ცენტრი“	რეფორმების ახალგაზრდული საბჭო	პროექტის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და სამინისტროებთან ჩამოყალიბდება რეფორმების ახალგაზრდული საბჭოები, რომლებიც იმუშავებენ რეფორმების მიმართულებით, აგრეთვე ჩაერთვებიან სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პროგრამებში. პროექტი პირველ ეტაპზე საპილოტე ხასიათისაა და იგეგმება განვითარდეს საქართველოს მასშტაბით რეგიონებშიც. პროექტი ხელს შეუწყობს სამოქალაქო მონაწილეობის გაზრდას ახალგაზრდების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის გზით, სტრუქტურული დიალოგის ხელშეწყობას ახალგაზრდებსა და საჯარო უწყებებს შორის.	21945
14	აიიპ „ქართველოლოგიური სკოლის ფონდი“	საერთაშორისო ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა - 2015	ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა მიზნად ისახავს, ქართველოლოგთა რიგები უცხოელი სტუდენტების ახალი კადრებით შეავსოს, დაეხმაროს მათ თანამედროვე ქართული ენის	10600

			შესწავლაში, მისცეს ზოგადი წარმოდგენა ქართველოლოგიური მეცნიერებების სხვადასხვა დარგზე, გააცნოს ქართული კულტურა და თანამედროვე საქართველოს მეცნიერული, საგანმანათლებლო, კულტურული და სოციალური მიღწევები, მოახდინოს ჩვენი ქვეყნის სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობასთან მათი დაახლოება და აღზარდოს ისინი მომავალ კადრებად ქართველოლოგიაში და მეგობრებად საქართველოს ახალგაზრდა თაობისა.	
15	ააიპ „საქართველოს ხელოვნების საბჭო“	კულტურული პროექტების მენეჯმენტი	პროექტი მიზნად ისახავს ორიენტირი მისცეს ახალგაზრდებს თვითშესწავლის მეთოდით განავითარონ საკუთარი ძლიერი მხარეები და რეალიზირება მოახდინონ საკუთარი პოტენციალის, აღიჭურვონ დამატებითი უნარებით და გაიზარონ თუ როგორ დაიმკვიდრონ თავი საზოგადოებაში.	20862
16	ააიპ “ლაჰილი“	„გაიხსენე ძველი ხელობა“	პროექტის მიზანია, მოხდეს ისეთი ქართული, კონკრეტულად კი სვანური არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დამზადების შესწავლა ახალგაზრდებისათვის როგორც არის ჭუნირის, ჩანგისა და სვანური ქუდის დამზადების ტექნოლოგია. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ხელობების შესწავლის შემდეგ მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებმა შესძლონ, ნასწავლის ცხოვრებაში გამოყენება. პროექტი განხორციელდება ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ეს გულისხმობს ლენტეხისა და მესტიის მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდებისათვის ისეთი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ტექნოლოგიის შესწავლას როგორც არის ჩანგის, ჭუნირის, სვანური ქუდისა და ორნამენტის ხელობა.	12461.95
17	ააიპ „ჩემი საქართველო თიანეთიდან იწყება“	Art-cafe	პროექტის მიზანია, შექმნას სივრცე, რომელიც მიმართული იქნება არსებული პრობლემების მოგვარებისაკენ. კერძოდ, არტ-კაფეში მოეწყობა პოეზიის საღამოები (ადგილობრივი პოეტების მონაწილეობით, რაც ხელს შეუწყობს მათი შემოქმედების რეალიზაციას, ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას, მოტივაციის გაზრდას). გაიმართება მუსიკალური საღამოები, როგორც ადგილობრივი ბენდის, ისე მოწვეული შემსრულებლების მონაწილეობით. მოეწყობა ფილმის ჩვენებები და დასრულების შემდგომ ახალგაზრდებს საშუალება მიეცემათ განიხილონ ფილმი,	14746.5

			<p>გამოთქვან საკუთარი აზრი, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში აზრის გამოთქმისა და სხვისი აზრის მოსმენის კულტურის ამაღლებას. ჩატარდება საჯარო ლექციები, სადაც მოვიწვევთ ადგილობრივ მოხელეებს, რომლებიც თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას გაუზიარებენ ახალგაზრდებს სამოქალაქო ცოდნის გაღრმავებისათვის. არტ-კაფის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდება დებატ-კლუბი, რომელიც მისცემს ახალგაზრდებს საშუალებას გაეცნონ და შეისწავლონ დებატების ხელოვნება.</p>	
18	ააიპ „არტ-ისტი“	„ბავშვები, კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა - იყავი არტ-ისტი“	<p>პროექტის მიზანია ახალგაზრდული საგანმანათლებლო სტუდია „არტ-ისტი“-ს ინსტიტუციური ბაზის გაძლიერებისთვის, მისი გრძელვადიანი მდგრადი ფუნქციონირებისთვის ტექნიკური პირობების გამართვის ხელშეწყობა. ასევე მზრუნველობა მოკლებული და სიღარიბეს ზღვარს მიღმა მყოფი მრავალშვილიან ოჯახებში ნიჭიერი და დაინტერესებული ბავშვებისთვის სახელოვნებო (კერამიკა, მხატვრობა, ხელოვნების ისტორია/კულტურული მემკვიდრეობა) საგნების სწავლება, როგორც სტუდიაში (hands – on study), ასევე საქართველოს რეგიონებში სასწავლო გასვლით ტურებში. პროექტის ფარგლებში იგეგმება გასვლითი სასწავლო ტურები ა) ქარელის რაიონში - არტ ვილა „გარიყულას“ ბაზაზე. ბ) თელავში კერამიკული სტუდია სახელოსნოსთან თანამშრომლობით. სასწავლო ტურებში სწავლებებში მონაწილეობას მიიღებენ როგორც თბილისიდან ჩაყვანილი ბავშვები, ასევე ადგილობრივად გამოვლენილი ბენეფიციარები. კურსის მეთოდოლოგია ეყრდნობა „იკომოს“ საქართველოს მიერ შემუშავებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და მართვის სახელმძღვანელო მოდულებს. რომელთა სრულყოფილად წარმოდგენისთვის „იკომოს“ საქართველოს სპეციალისტები ჩაურატებენ კონსულტაციებს პროექტის პედაგოგებს.</p>	21986
19	ააიპ „საქართველოს პროგრესის ცენტრი“	“ახალგაზრდები პროგრესული პოლიტიკისთვის”	<p>პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ჩართულობას საჯარო პოლიტიკაში, საგანმანათლებლო და პრაქტიკული აქტივობების განხორციელების საშუალებით, რაც მოიცავს: ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლებას საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების მომზადებაში და ზოგადად საჯარო პოლიტიკის</p>	15938

			შესახებ, ახალგაზრდების მიერ საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებზე პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებას და პროგრესული ევროპელი მოაზროვნეების სტატიების კრებულის ელ. ვერსიის გამოცემას საჯარო პოლიტიკის სფეროების შესახებ. პროექტის ფარგლებში ჩატარდება ერთი საერთაშორისო ტრენინგი თბილისში, საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების მომზადებაში, რის ფარგლებშიც გადამზადდება 7 ახალგაზრდა ასევე ჩატარდება 7 საჯარო დისკუსია, საჯარო პოლიტიკის თემებზე, მათ შორის: ახალგაზრდობა და უმაღლესი განათლება, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაზღვევა, კონფლიქტები და საგარეო პოლიტიკა.	
20	ააიპ „ახალგაზრდების ინტეგრაციის, განათლების და კულტურული განვითარების ასოციაცია“	„ბრწყინვალე გონება: დოკუმენტური ფილმების სერია ქართველ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე წარმატებულ ახალგაზრდებზე“	პროექტის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების მიმართ საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციული დამოკიდებულების და სტიგმის შემცირება, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; საზოგადოების ინფორმირება, ცნობიერების ამაღლება და აღნიშნული პრობლემის მოგვარების კუთხით ჩართულობის გაზრდა. პროექტის ამოცანაა ისეთი ახალგაზრდების აღმოჩენა, რომლებმაც შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად შეძლეს განათლების მიღება, მუშაობა; ადამიანების, რომლებიც თავიანთ სფეროში გამორჩეულები არიან და მათი გამოგნებელი ისტორიები ნათელი მაგალითია იმისა, რომ შშმპ-ებს შეუძლიათ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები გახდნენ; ასეთი ადამიანების აღმოჩენის/პოვნის გარდა, პროექტის ამოცანაა ფართო საზოგადოებისთვის მათი გაცნობა, იმის ჩვენება, რომ საქართველოში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ფიზიკური, თუ ფსიქიკური პრობლემების მიუხედავად, წარმატებულები არიან.	21150
21	ააიპ „საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული მოძრაობა დავითიანნი“	“მოსიარულე ბიბლიოთეკა-წიგნი ყველა სოფელს“	პროექტი მიზნად ისახავს ქვეყანაში განათლებისა და წიგნიერების დონის ზრდისთვის, როგორც სახელმწიფოს, ასევე მთელი საზოგადოების აქტიურ გაერთიანებას. პროექტის საშუალებით მოხდება საქართველოში წიგნის პოპულარიზაცია და რეგიონალური ცენტრებიდან მოშორებით მდებარე სოფლის ბიბლიოთეკების წიგნებით მომარაგება. რისი მეშვეობითაც შევძლებთ რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს გავუღვიძოთ	18635.4

			წიგნის სიყვარული და დავაინტერესოთ ისინი ბიბლიოთეკებითა და ახალი ლიტერატურით. „მოსიარულე ბიბლიოთეკა“ – „წიგნი ყველა სოფელს“ - ამ პროექტის წარმატებით განხორციელებით, ერთის მხრივ გავზრდით ახალგაზრდობის და ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების სოციალურ აქტივობაში ჩართულობას და მეორე მხრივ, მთელი საქართველოს მასშტაბით მოვახდენთ წიგნის პოპულარიზაციას. პროექტის ფარგლებში მოხდება ქვემო ქართლის, ფშავ-ხევსურეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და სამცხე-ჯავახეთის 25-მდე სოფლის 150-მდე ბიბლიოთეკის წიგნებით მომარაგება.	
22	ააიპ „ინიციატივა სამოქალაქო საზოგადოებისთვის“	ახალგაზრდული ინტერრელიგიური საბჭო - ქვეყანაში ტოლერანტული გარემოს გაუმჯობესებისა და რელიგიათა შორის თანამშრომლობისათვის	პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ტოლერანტული გარემოს გაუმჯობესებას ქვეყანაში, სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობების თანამედროვე მოდელის ჩამოყალიბებას ქვეყანაში სხვადასხვა ეთნიკური/რელიგიური ჯგუფის ახალგაზრდების ჩართულობით.	15805
23	ახალგაზრდა მკვლევართა ცენტრი „უცნობი საქართველო“	„მთიულეთის ეპიგრაფიკული და ხელნაწერი მემკვიდრეობა - (ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროგრამა დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი რეგიონის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და დუშეთის ბავშვთა სახლისათვის)“	პროექტის მიზანია პროექტში მონაწილე ახალგაზრდა ისტორიკოსების პროფესიული დახელოვნება და წახალისება, პრაქტიკული კვლევა-ძიების უნარის გამომუშავება, სალექციო კურსის საშუალებით ადგილობრივ მოსწავლე-ახალგაზრდობასა და დაინტერესებულ საზოგადოებასთან ურთიერთობის ჩვევების ჩამოყალიბება. ადგილობრივ მოსწავლე-ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით კი დუშეთის მუნიციპალიტეტის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებში მთიულეთის რეგიონის ეპიგრაფიკული, ხელნაწერი მემკვიდრეობისა და ისტორიული ძეგლების გაცნობა-პოპულარიზაცია;. პროექტის განხორციელების ერთ-ერთი პირველი ეტაპი არის ახალგაზრდა მკვლევართა ცენტრ „უცნობი საქართველო“ მეცნიერთა ჯგუფის მიერ სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა-დამუშავება, სავლე ექსპედიციების სამუშაოების დაგეგმვა და პრიორიტეტების განსაზღვრა.	16019
24	ააიპ „ბორჯღალი“	„გააცოცხლე წარსული და შექმენი მომავალი“	პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებებსა და კულტურული ტურიზმის განვითარების პროცესში ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას. დაგეგმილია აჭარისა და სვანეთის რეგიონებში	17134



			შემორჩენილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ფიქსირება და მათთვის ტურისტული ფასეულობის შექმნა, ასევე ახალგაზრდების პოტენციალისა და შესაძლებლობების განვითარება, კულტურული ტურიზმის სფეროში დასაქმების მზადყოფნის გაზრდისათვის. პროექტის პირველ ეტაპზე, აჭარისა და სვანეთის რეგიონებში მცხოვრები, 16-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისათვის, გამოცხადდება კონკურსი სახელწოდებით: „გააცოცხლე წარსული და შექმენი მომავალი“, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ახალგაზრდებს მოიძიონ თავიანთ სოფლებში შემორჩენილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები	
25	ააიპ „ინტერკულტურული დიალოგისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფორუმი“	იყავი აქტიური: ახალგაზრდობა, კულტურა და საზოგადოება	პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში სკოლის მოსწავლეთა სივრცეში ტოლერანტობის გაზრდას, სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდების, აგრეთვე იძულებით გადაადგილებული ბავშვების სოციალურად გააქტიურებას და ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობები, ასევე პროექტის გაცნობა ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებისთვის და მათი შეხვედრები ბენეფიციარებთან, რაც ხელს შეუწყობს პროექტის სამიზნე ჯგუფის მოტივაციის გაზრდას, თვითშეფასების ამაღლებას. პროექტი ზუსტად პასუხობს გზამკვლევაში წარმოდგენილ მიზნებს, რომელიც შეესაბამება სახელმწიფო პოლიტიკის მოთხოვნებს.	23875
26	ააიპ „სტუდენტები აკადემიური თავისუფლებისთვის“	საზაფხულო სკოლა - განათლება განვითარებისთვის	პროექტ „საზაფხულო სკოლა - განათლება განვითარებისთვის“ მიზანია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში ჩართულობის ხარისხის გაზრდა, საქართველოში დასავლური ტიპის განთლების სისტემის, მათ შორის, არაფორმალური განათლების კულტურის ფორმირების ხელშეწყობა. ჩატარდება ერთკვირიანი საზაფხულო სკოლა, სადაც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს 50 სტუდენტი დედაქალაქისა და 8 რეგიონის უნივერსიტეტიდან, საფრანგეთის პარიზის უნივერსიტეტის “université paris 8 vincenne à Saint-denis”-ის 8 სტუდენტი და ორი დოქტორანტი, ბერლინის ხელოვნების უნივერსიტეტის 5 სტუდენტი. ასევე მოხდება ზამთრის სკოლაში წაკითხული ლექციების ტექსტური ვერსიის წიგნად გამოშვება და	22130

			გავრცელება.	
27	ააიპ „სვანეთის ახალგაზრდული ცენტრი“	“რიკო”	აღნიშნული პროექტი მრავალმიზნობრივი გახლავთ და ხელს უწყობს შიდა ტურიზმის განვითარებას, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას გადაწყვეტილებების მიღებაში, ასევე მათი ცნობიერების ამაღლებასა და ჩართულობას გარემოსდაცვით საკითხებში, უკანონო ნადირობის და თევზჭერის პრევენციაში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში. პროექტის ფარგლებში მოხდება საზოგადოების სათანადოდ ინფორმირება და შშმ პირების მნიშვნელოვანი პრობლემების გაცნობა. შეიქმნება ვებ სივრცე, (ბლოგები, ვიდეორგოლები) შესაბამისად მათი პრობლემების უკეთ გაცნობის შესაძლებლობა, რაც ხელშემწყობი იქნება, როგორც სახელმწიფოს, ისევე საზოგადოებისთვის.	19874.53
28	ააიპ „Caucasus Cultural Innovation Centre“	ჟურნალი „XII“	პროექტის მიზანია, ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების, ინტერვიუების, რეცენზიების, კრიტიკული წერილების, ლიტერატურული ნაშრომებისა და ფოტო პროექტების მეშვეობით მოხდეს საზოგადოების ინფორმირება ახალგაზრდა ქართველი ხელოვანებისა და მათი ნამუშევრების შესახებ. ამას გარდა ჟურნალ „XII“-ის მიზანია, მოხდეს არამარტო ახალგაზრდა ქართველი ხელოვანების, არამედ ახალგაზრდა ქართველი ჟურნალისტების, პუბლიცისტების, გრაფიკოსებისა და ფოტოგრაფების პოპულარიზაცია. მკითხველს მიაწოდოს საინტერესო, ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია.	17012.5
29	ააიპ „გრაფიკული სტუდია“	„ქართული ლიტერატურის ახალი სიცოცხლე“	პროექტის ამოცანაა შეიქმნას ტექნიკური ბაზა, რომელიც მოხმარდება ნიჭიერი ანიმატორების-სტუდენტების, კურსდამთავრებულების ან/და ამ სფეროთი დაინტერესებული ნიჭიერი ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლებას 2D/3D ანიმაციის სფეროში. ჩვენს ოფისში მათ საშუალება ექნებათ იმუშაონ უმაღლესი ხარისხის ტექნიკასთან და მიიღონ ფასდაუდებელი გამოცდილება, ამასთანავე ჩვენი გამოცდილების გათვალისწინებით შეგვეძლება ისეთი ხარისხის მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის დამზადება, რომელსაც თამამად წარვადგენთ მსოფლიოს მასშტაბით და ქართული კულტურის პოპულარიზაციას. პროექტის მიზნების განსახორციელებლად, მოწვეულნი იქნებიან ამ სფეროში გამოცდილების მქონე ადამიანები	21833.49

			და ამასთანავე დაინტერესდებიან შესაბამისი გამოცდილების არმქონე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და სხვა დაინტერესებულ პირები და მათ მიეცემათ ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება. აგრეთვე პროექტთან თანამშრომლობა ექნება შპს „დინ სტუდიოს“, რომელსაც ამჟამად გააჩნია საოფისე ფართი და გამოცდილი კადრების რესურსი, რომლებიც შეუცვლელ როლს შეასრულებენ ნიჭიერ ახალბედა გრაფიკოს-ანიმატორთათვის გამოცდილების გაზიარების კუთხით.	
30	ააიპ „საქართველოს ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“	თბილისის ახალგაზრდებს შორის ინტერნეტდამოკიდებულების შესწავლა/გამოვლენა	პროექტის მიზანია შეისწავლოს ქ. თბილისის მოზარდებს/ახალგაზრდებს შორის ინტერნეტდამოკიდებულება, გამოავლინოს მისი ნეგატიური შედეგები; პროექტის განხორციელების შემდეგ ზუსტად იქნება განსაზღვრული ახალგაზრდების ინტერნეტდამოკიდებულების დონე, რაც საშუალებას მოგვცემს ვისაუბროთ და გავაანალიზოთ, თუ რა მდგომარეობა გვაქვს, რა თანაფარდობა არსებობს ინტერნეტდამოკიდებულებასთან მიმართებაში გენდერულ/ასაკობრივ ჭრილში. რა ღონისძიებების გატარებაა აუცილებელი ინტერნეტდამოკიდებულებათა რაოდენობის მკვეთრად შესამცირებლად; პროექტი ხელს შეუწყობს 3000-ზე მეტი ახალგაზრდის ცნობიერების ამაღლებას ინტერნეტდამოკიდებულების ჭრილში; თუ გავითვალისწინებთ, რომ მიღებულ ცოდნას ეს ახალგაზრდები თავის მეგობრებს, ნაცნობებს, ოჯახის წევრებს გაუზიარებენ, სავარაუდოდ ეს რიცხვი 3-4 ჯერ გაიზარდება.	19631
31	ააიპ „კახეთის სამოქალაქო ლიგა“	სამკერვალო სახლი პანკისელ გოგონებს	პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს პანკისელი ახალგაზრდა ქალების არაფორმალური განათლებასა და დასაქმებას. ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქალების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ გამოყვანას კარჩაკეტილი ცხოვრებიდან და ჩართვას საზოგადოებრივ აქტივობებში. ახალგაზრდა ქალებს გაუჩნდებათ რწმენა საკუთარი შესაძლებლობების, გახდებიან უფრო მიზანდასახულები და აქტიურები. გარდა ამისა, სამკერვალო სახლის გახსნა ხელს შეუწყობს პანკისელ ქალებს შექმნან მათთვის სასურველი სამოსი, სპეციფიურად მათთვის საჭირო აქსესუარები. ტრადიციული, ქისტური ორნამენტებით ხელით ნაქსოვი თუ	15865

			ნაქარგი ნივთები განთავსდება პანკისში არსებულ აგროტურისტულ სახლებში, რაც ხელს შეუწყობს ქისტური კულტურის პოპულარიზაციას და დამატებითი შემოსავლის წყარო გახდება. აგრეთვე შეიქმნება ინტერნეტ გვერდი სადაც განთავსდება მათ მიერ შექმნილი პროდუქცია, ეს კი ხელს შეუწყობს ამ პროდუქციის რეალიზაციასა და პოპულარიზაციას.	
32	ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეა“	„გზა განათლებიდან დასაქმებამდე“	პროექტის მიზანია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 7 თემში ახალგაზრდებმა ტრენინგ-კურსებით გაიღრმავონ უნარ-ჩვევები რიგ კომპეტენციებში და მიღებული ცოდნა-გამოცდილების საფუძველზე გაეზარდოთ დასაქმების/თვითდასაქმების შესაძლებლობები. პროექტით მოხდება ადგილობრივი ბაზრის კვლევა, საქართველოსა და სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და ასევე, სამი სექტორის – საჯარო, ბიზნესი და სამოქალაქო სექტორის ინფორმირება თანამშრომლობის ხელშეწყობა სამუშაოზე ახალგაზრდების მიღების ხელშეწყობის მიმართულებით. პროექტის ფარგლებში ჩატარდება 18 ტრენინგ-კურსი, 3 სემინარის შედეგად ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 7 თემის 100 ახალგაზრდას, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭუროების მქონე და სოციალურად დაუცველ ახალგაზრდას განუვითარდება დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.	21045
33	ააიპ „კავშირი განვითარებისთვის“	უკანა ფშავის თანამედროვე, ახალგაზრდა ფერმერები	პროექტის ფარგლებში, უკანა ფშავის თემში, კერძოდ სოფელ ვაკის სოფელში შეიქმნება სამთო მექანიზაციური ცენტრი. რაც მთიანი რელიეფისთვის გამოსადეგი სოფლის მეურნეობის ტექნიკის შეძენას და ახალგაზრდებისთვის მისი მოხმარების წესის სწავლებას გულისხმობს. მათი მეშვეობით უკანა ფშავში ასევე, ამენდება 20 კვ. მეტრი ფართის სათავსო აღნიშნული მოწყობილობების შესანახად.	16789
34	ააიპ „გლობალური თანადგომა“	სოციალური საწარმო-სწოველი	პროექტის ფარგლებში, ყაზბეგის რაიონში სოფელ სნოში სამხატვრო სახელოსნოს ბაზაზე, შეიქმნება სოციალური საწარმო სპეციალური დანადგარებით, სადაც ადგილობრივი ახალგაზრდები შეისწავლიან ხელსაქმეს და დასაქმდებიან. სახელოსნოში, ასევე მოეწყობა სუვენირებისა და დეკორაციების სარეალიზაციო კუთხე, სადაც მნახველს შეეძლება დაათვალიეროს და შეიძინოს სხვადასხვა	22750

			ნაწარმი.	
35	ააიპ „ჯ & ჯ“	არ დაკვარგოთ სოფელი	პროექტი ითვალისწინებს, მცირე სათბურის აგება/მოწყობას გორის მუნიციპალიტეტ სოფელ შავშვების დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში. დასაქმებულ პერსონალს ჩაუტარდება ტრენინგები სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონალური საკონსულტაციო ცენტრების მხრიდან. მოსახლეობას გაუჩნდება დამატებითი შემოსავლის წყარო, ქართულ ბაზარს მიეწოდება ჯანსაღი პროდუქტი.	13510.54
36	ააიპ „საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია“	„წეროვანი ტრადიციული ხელოსნობის ცენტრი: ხეზე კვეთა დევნილი ახალგაზრდობის დასაქმებისთვის“.	პროექტი ითვალისწინებს წეროვანის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდობისთვის, ხის მხატვრული დამუშავების სახელოსნოს აშენებას, იარაღ-დანადგარებითა და მასალით აღჭურვას. აღნიშნულ ტერიტორიაზე ისინი შეისწავლიან ქართულ ხალხურ ორნამენტს, მის ისტორიას და ხეზე კვეთის როგორც ხალხურ, ისე კლასიკურ მეთოდებს.	16513.36
37	ააიპ „მშვიდობისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ცენტრი“	Idea@lub	პროექტის მთავარი იდეა მდგომარეობს შემდეგში - შეიქმნას პირველი სოციალური ბარი საქართველოში “საერთო თანამშრომლობითი სივრცის” (Coworking Space) კონცეფციის საფუძველზე, რომელიც ორიენტირებული იქნება სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებზე, სტარტაფებსა და თავისუფალ პროფესიონალებზე (freelancers). პროექტის ფარგლებში, ICPI წარმოგიდგენთ იდეას - შეიქმნას პირველი სოციალური ბარი (გრძელვადიან პერსექტივაში Co-working სივრცე), ახლად დაარსებული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, სტარტაფებისა და თავისუფალი პროფესიონალებისთვის.	21820
38	ააიპ oikos Tbilisi (ოიკოს თბილისი)	საერთაშორისო საზაფხულო ეკონომიკური სკოლა: სოციალური მეწარმეობა და სოციალური ინოვაცია.	პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს რეგიონის ახალგაზრდების სამეწარმეო უნარების განვითარებასა და სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინოვაციის თემის ირგვლივ განათლების დონის ამაღლებას; შეიმუშავოს რეგიონის განვითარების სტრატეგია აღნიშნულ სფეროში და თანამედროვე ვირტუალური ბიზნეს ინკუბატორის მეშვეობით უზრუნველყოს ახალგაზრდების სამეწარმეო პოტენციალის რეალიზაციის ხელშეწყობა. მოხდება თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაზიარება მდგრად ინოვაციურ იდეებზე დაფუძნებული სოციალური მეწარმეობის	23660

			პოტენციალზე. მნიშვნელოვანია პროექტის ფარგლებში უცხოელ და ადგილობრივ მონაწილეებს, სტუდენტებსა და პედაგოგიურ წრეებს, სამთავრობო და არასამთავრობო წარმომადგენლებსა და პროექტში ჩართულ პირებს შორის მოხდეს მათი ცოდნის გაზიარება, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ დონეზე, მიღებული ცოდნის ანალიზი და შეფასება.	
39	ააიპ ასოციაცია „ანიკა“	„ჩვენ ერთდ შევცვლით სამყაროს“	პროექტი ითვალისწინებს შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებისათვის (30 წლამდე) სამკერვალო საქმის შესწავლას, მათი შემდგომი დასაქმების მიზნით. სამკერვალო იფუნქციონირებს უკვე არსებულ, გარემონტებულ და ადაპტირებულ შენობაში. მათ თავდპირველად მაღალკვალიფიციურ ტრენერებთან ჩაუტარდებათ ტრენინგები, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილში. შეიქმნება პროდუქტი, პირველ ეტაპზე თეთრეული, რომელიც გამოვა სპეციალური სამარკო ნიშნით და გავრცელდება სხვადასხვა ორგანიზაციებში.	18610
40	ააიპ „ახალგაზრდები ხელოვნებისთვის“	ჩვენ შეგვიძლია	პროექტის მიზანი მასში მონაწილე ახალგაზრდებს შეექმნათ შესაბამისი პირობები სავარჯიშოდ. დარბაზში, რომელიც აღჭურვილი იქნება საჭირო დანადგარებით, ახალგაზრდები შეისწავლიან ცეკვასა და სხვადასხვა აქტივობებს შშმ პირებთან ერთად.	18775
41	ააიპ „კრეატიული განვითარების ცენტრი“	კრეატიული კაფე - სამოქალაქო განათლების პლატფორმა	პროექტის მთავარი მიზანია შეიქმნას სივრცე ახალგაზრდებისთვის, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შშმ პირებს და ასევე ნაკლები შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს, რათა მივაწოდოთ მათ საკმარისი ინფორმაცია და დავეხმაროთ პერსონალურ და კარიერულ განვითარებაში. პროექტი სთავაზობს ახალგაზრდებს თბილისიდან სამუშაო და საგანმანათლებლო სივრცეს. ასევე გაიზრდება ახალგაზრდებისათვის თბილისიდან და რეგიონებიდან სამოქალაქო განათლებაზე ხელმისაწვდომობა.	16550
42	ააიპ „თბილისის მოხალისეთა გაერთიანება“	ტრენინგები ახალგაზრდების დასაქმებისათვის	პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდების დასაქმებას, პიროვნული უნარების განვითარებას, კვალიფიკაციის ამაღლებას არაფორმალური განათლების მეთოდებით და სკოლიდან სამუშაოზე გადასვლის პროცესს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სოციალურად დაუცველი და დევნილი	18245

			<p>ახალგაზრდების სასწავლო პროგრამაში ჩართვა, რომელიც უზრუნველყოფს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, სათანადო უნარებით აღჭურვას რომელიც გამოადგებათ დამსაქმებლებთან ურთიერთობაში, აგრეთვე პროექტი უზრუნველყოფს მცირე ბიუჯეტის პროექტების კონკურსის გამოცხადებას რომელშიც მონაწილეების მიღება შეეძლება ტრენინგებში მონაწილე ახალგაზრდებისაგან ჩამოყალიბებულ საინიციატივო ჯგუფებს. პროექტის განსახორციელებლად საორგანიზაციო ჯგუფი წერილობით დაუკავშირდება უნივერსიტეტებს და გამოითხოვს მათგან საკონტაქტო ინფორმაციას სოციალურად დაუცველი და დევნილი სტუდენტების შესახებ. მოხდება აღნიშნულ სტუდენტებთან შეხვედრების ორგანიზება, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების გაცნობის მიზნით.</p>	
43	ააიპ საერთაშორისო ფონდი „ფენიქს-ლზ“	ლურჯი ფრინველი	<p>შშმ პირთათვის ავტოსკოლის პროექტის განხორციელებით მათ მიეცემათ საშუალება ჩააბარონ გამოცდები შ.ს.ს-ში, მიიღონ მართვის მოწმობები, რაც მათ დასაქმებასაც შეუწყობს ხელს და საზოგადოებაში ინტეგრაციასაც. მოეხსნებათ ფსიქოლოგიური ბარიერები. ამასთანავე, ხელი შეეწყობა ჩვენი გლობალური პროექტის ზემოთხსენებული ქვეპროექტების ანუ მიმართულებების განვითარებას. პროექტი “ლურჯი ფრინველი“ თავისთავად გლობალურია და მისი განხორციელების დაწყება მიზანშეწონილად მიგვაჩნია შშმ პირთა ავტოსკოლის ქვეპროექტის ამუშავებით. ავტომობილის მართვის ცონდის დაუფლება და შესაბამისი უნარების განვითარება, რაც საშუალებას მისცემს მათ ჩააბარონ სათანადო გამოცდები შ.ს.ს-ში, მიიღონ მართვის მოწმობები. აღნიშნული მათ დასაქმებასაც შეუწყობს ხელს და ფსიქოლოგიური ბარიერების მოხსნასაც. აღნიშნული საკითხის მაღალი მოთხოვნილების გათვალისწინებით, ამ მიმართულებით, დიდ სოციალურ ეფექტს გამოიწვევს საზოგადოებაში.</p>	16620